საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1543
09/03/2023

1543-21-2-202303091336

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“
მის: ქ. თბილისი, 0105, ნ. ბარათაშვილის ქ. 2
ელ. ფოსტა: zezva.khvedelidze@gse.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №599 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (500კვ.) „წყალტუბო - ახალციხის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებისა და 2020 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი ელექტრონული ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ცვლილების მონაკვეთის გარდა წარმოდგენილი Shp ფაილების გარკვეული მონაკვეთები არ არის თანხვედრაში 2020 წლის Shp ფაილებთან, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ცვლილებას დაქვემდებარებული საყრდენების GPS კოორდინატები არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ცვლილებას დაქვემდებარებული საყრდენების ნუმერაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ AP 49 საყრდენის განთავსების წერტილი აცდენილია ელექტროგადამცემ ხაზს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სულ ცვლილებები დაპროექტებულ 103 კილომეტრიან ხაზზე შეეხო 20.4 კმ-იან მონაკვეთს, რომელზეც განთავსებულია 57 ანძა, ამასთან სკრინინგის განცხადების თანახმად, ცვლილების შედეგად უცვლელი რჩება საყრდენების რაოდენობა, ხოლო წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული ცვლილების მონაკვეთზე გზშ-ს ეტაპზე

გათვალისწინებული იყო 41 საყრდენის მოწყობა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედება შეფასებული უნდა იქნეს აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით;

- სკრინინგის განცხადების შესავალში აღნიშნულია, რომ 57 ანძიდან, მხოლოდ 6 ანძა მდებარეობს ადრე შესწავლილი კორიდორის გარეთ, და მანძილი შესწავლილი კორიდორიდან მხოლოდ ერთი ანძისთვის შეადგენს 100 მეტრს, ხოლო დანარჩენი 5 ანძა მინიმალურად ცდება შესწავლილ კორიდორს, ამასთან ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თავში აღნიშნულია, რომ საპროექტო ცვლილების მიხედვით ეგხ-ის განთავსების დერეფნის გადახრა საბაზისო პროექტით გათვალისწინებული ხაზიდან შეადგენს მაქსიმუმ 350 მეტრს 1 ერთეული ანძისთვის, დანარჩენი 5 ანძა, რომელიც მოცილებულია საბაზისო პროექტის ხაზს მდებარეობს იმავე ტიპის ჰაბიტატებში რომელიც შესწავლილი იყოს საბაზისო პროექტის ფარგლებში, შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო